

თუ კრემლი გონიერია - რუსეთი ღონიერია

აფხაზეთში მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ჩვენი ხელისუფლება შეშფოთებული ადევნებს თვალს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რეგიონის მორიგ და, რაც მთავარია, **თვისობრივად ახალ** პოლიტიკურ დრამას; საქმის ასეთ შემობრუნებას საქართველოში ბევრი არ ელოდა. სეპარატისტებმა არჩევნები ადრეც მოაწყვეს და ამას რაიმე მნიშვნელოვანი ძვრები არ მოჰყოლია, ახლა კი ყველაფერმა ტორტმანი დაიწყო, - რატომ?

ქმედუნარო არძინბამ კარგა ხანია, თავისი მოჭამა; ჰოდა, რაკი „ბატონი ავად გახდა“ - სეპარატისტთა ლიდერის გარემოცვაში ძალაუფლების გადანაწილებისათვის ბრძოლა გამწვავდა. კულუალურ-კლანური ანგარიშსწორებების და გარიგებების პრაქტიკას ღია, საჯარო არჩევნების გზაც დაემატა. ეს არჩევნები აღარ იყო წინა არჩევნების მსგავსად ერთადერთი კანდიდატისათვის დასტურის მიცემის ფორმალური პროცედურა. უკანასკნელი არჩევნები თვისობრივი ნახტომია დე-ფაქტო რესპუბლიკის პოლიტიკურ ყოფაში. პოლიტიკური ცხოვრების ასეთი ევოლუცია ავტოკრატიის არტახებიდან თუნდაც მცირედ, მაგრამ მაინც უკვე თავდაღწეულ საზოგადოებას არცთუ უწყინარი გამოცდის წინაშე აყენებს. დემოკრატიული თამაშის წესები ბევრად უფრო რთულია და შესაბამის უნარ-ჩვევებს მოითხოვს. გამოუცდელი საზოგადოების მხრიდან შეცდომების დაშვების ალბათობა დიდია. აფხაზები ფრთხილობენ, მაგრამ ნებისთ თუ უნებლიედ უკვე მაინც საკმაოდ ღრმად შეტოპეს. სად, სად და კრემლში ასეთი რისკების შესახებ შესანიშნავად მოეხსენებათ. კატეგორიულად არ ვეთანხმები მათ, ვისაც ჰგონია, რომ კრემლში არ ელოდნენ მოვლენათა ასეთ შემობრუნებას და რაც აფხაზეთში მოხდა კრემლისთვისაც ისევე მოულოდნელი იყო, როგორც ჩვენი საზოგადოების მომეტებული ნაწილისათვის.

საქმე ის გახლავთ, რომ რუსულ-აფხაზურმა ურთიერთობებმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. თავდაპირველად არძინბას და მის გარემოცვას საქართველოს წინააღმდეგ კრემლის ინტერესების ინსტრუმენტის როლი ეკისრა. მაგრამ, გადატანილი დიდი პოლიტიკური და სამხედრო ორომტრიალის შედეგად, აფხაზების ამბიცია გაიზარდა. სრულიად აშკარაა, რომ მათ არა მარტო აღარ სურთ იყვნენ, არამედ აღარც არაინ კრემლის უპირობო მარიონეტები; ბაღაფში ხელისუფლებაში აფხაზეთში დარჩენილი მოსახლეობის მხარდაჭერით მოვიდა და მისი პოლიტიკური სიცოცხლისუნარიანობა ამავე მოსახლეობის მხარდაჭერაზე იქნება დამოკიდებული. *პოლიტიკურ სცენაზე გამოვიდა ახალი აქტიორი, აფხაზეთის ხალხი*. ბაღაფში, ძალიანაც რომ უნდოდეს, ველად ჩაეტევა ძალაუფლების ვერტიკალის ზემოდან (კრემლიდან) მართვადი სისტემის ფარგლებში; მან ხალხის ნებაც უნდა გამოხატოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ვერც ერთ სფეროში ეფექტურ პოლიტიკას ვერ გაატარებს; ამასობაში კი ის ჰიპოთეტური მეტოქეც გამოჩნდება, რომელიც ხალხზე დაიწყებს აპელირებას და ბაღაფშს ამ გზით დაჯაბნის. ხალხს პოლიტიკური თამაშიდან ისევე ვეღარ გამოდევნი, როგორც გასროლილ ისარს ვერ დააბრუნებ. აფხაზეთის ხალხში აფხაზების გარდა, ცხადია, იქაური ქართველებიც იგულისხმება. უნდა ვიფიქროთ, რომ აფხაზეთის სახელისუფლო ბატალიებში თბილისის ხელიც ურევია; სხვანაირად აფხაზეთის მოსახლეობის ქართული ნაწილი ასე ერთსულოვანი არ იქნებოდა არჩევანში. ეს მით უფრო საფიქრალია, რომ ქართული მოსახლეობის ეს ნაბიჯი ხელს არ უშლიდა ეთნოსურ აფხაზებთან

ნდობის აღდგენის მნიშვნელოვან პროცესს. მომხდარი ის შემთხვა იყო, როცა ხელი ხელს ბანდა.

რა თქმა უნდა, კრემლს ეს ყველაფერი შეუმჩნეველი არ დარჩენია. *ეგ არის ოღონდ, რომ ახალი აქტიორის პოლიტიკურ სცენაზე გამოჩენას მოსკოვში თავზარი არავისთვის დაუცია; კრემლი ამ ვითარების სწორედაც თავის სასარგებლოდ გამოყენებას გეგმავს.* აფხაზები სერიოზულ და მათთვის საკმაოდ მოულოდნელ სიძნელეებს გადააწყდებიან.

ზემოთაც ავღნიშნეთ, რომ თავდაპირველად ისინი დამოუკიდებლობის მოთხოვნას არც აყენებდნენ; მათთვის მთავარი იყო რუსეთისგან განდგომის მოსურნე საქართველოს არ აპყლოდნენ, მაგრამ მადა ჭამაში მოდის და აფხაზებმა რეალურად მოინდომეს ის, რაც უკვე რუსეთის ინტერესებში ვეღარ თავსდება. აფხაზურ-რუსულ სიამტკბილობას შხამი გაერია.

დამოუკიდებლობისათვის რეალურად მებრძოლი აფხაზეთი რუსეთს არ სჭირდება. სხვა რომ არაფერი, ასეთი პრეცედენტი მთელ ჩრდილო კავკასიას ააფორიაქებს. აფხაზური ხანჯალი რუსეთმა ხელის აუკანკალელებად ჩასცხო საქართველოს ზურგში, მაგრამ ახლა ამ ხანჯლის ქარქაშში ჩაგება უჭირს. კრემლმა (რადაც იურიდიული იწილ-ბიწილოს ფორმით) აფხაზეთის ერთხელ და სამუდამოდ რუსეთში ინტეგრაცია სურს. რა უსიამოვნოც არ უნდა იყოს ამის აღიარება, კრემლი უკვე აღიქვამს აფხაზეთს რუსეთის ნაწილად. და ის მით უფრო დაბეჯითებით შეეცდება აფხაზეთის მიერთებას, რაც უფრო აშკარა გახდება, რომ აფხაზეთში საქართველოს ხელისუფლების იურისდიქციის არ დაშვებით, იგი ვერ აბრკოლებს საქართველოს ინტეგრაციას ნატოში და დასავლეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურ სივრცეში. ეს გარემოება კიდევ უფრო ამცირებს იმის ისედაც მცირე ალბათობას, რომ რუსეთი სუბტროპიკულ აფხაზეთს ბოლოსდაბოლოს გამოწოვილი ლიმონით უკან მოგვიგდებს. გრძელვადიან პერსპექტივაში რუსეთს აფხაზეთი სათავისოდ ეგულება. ამ პროექტის რეალიზება კი მრავალმოქმედებიანი დრამის ინსცენირებას გულისხმობს. აფხაზეთის მოსახლეობისათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭებაც კი ამ სცენარის ერთ-ერთ ელემენტად გამოიყურება. ჩვენში უფრო იმას ფიქრობენ, რომ ეს ნაბიჯი საქართველოს ხელისუფლების მხრიდან აფხაზეთის ტერიტორიაზე შესაძლო გადამჭრელი მოქმედებების აღსაკვეთად რუსეთის ჩარევის იურიდიული საბაბისთვისაა გადადგმული. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ფორმალურ გარანტიებს რუსეთი არასოდეს არ სცემდა პატივს და ჩარევის საბაბს ის ყველა შემთხვევაში იპოვის. მას რომ აფხაზეთის საქმეებში ჩარევის დამატებითი წინაპირობები არ სჭირდება, ეს უკვე გამოვცადეთ. თავის მხრივ, საეჭვოა საერთაშორისო საზოგადოება პასპორტების არგუმენტებით დაარწმუნო შენი მოქმედების მართლზომიერებაში. ამას გარდა, მოქალაქეობის მინიჭება თითქოს აფხაზეთის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასაც იზრახავს, რაც სრულ უნისონშია მკვიდრი მოსახლეობის გაწოვის ანუ აფხაზეთში შემდგომი დემოგრაფიული გოგლიმოგლის შემზადების მზაკვრულ პროექტთან. იქაური სოფლის სიდუსტირეს ბევრი რიგითი აფხაზი გაექცევა და რუსეთის ქალაქებს მიაშურებს; პატრიოტიზმზე აპელაციით გაუსაძლის ყოფაში ჩავარდნილ ადამიანებს ადგილზე ვერ დაამაგრებ. ეჭვიც არ გვეპარება, რუსული სახელმწიფო მანქანის დერჟიმორდებს შეურიგებელი და საკუთარი ინტერესებისათვის თავგამოდებული აფხაზები თვალთ დასანახადაც ეჯავრება.

აფხაზეთის ეკონომიკურ-დემოგრაფიული ათვისების შორს გამიზნულ პროექტს კრემლი რომ სრული სერიოზულობით ეკიდება, ამას ყველაზე მეტად დღეს მიმდინარე მოვლენები ადასტურებს. არჩევნების წინ პუტინის მხრიდან ხაჯინბას ღია მხარდაჭერა მელაკუდური ოინი იყო. დავუშვათ კრემლს ხაჯინბა ურჩევნია. ხომ აშკარაა, რომ ასეთ უცერემონიო მხარდაჭერას მხოლოდ

უკუშედევს გამოდება შეეძლო. მაშ რატომ დაუჭირა პუტინმა მხარი ხაჯინბას ღიად? შეცდა? არა! (სხვათა შორის, უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების მიმართაც სრული ანალოგიაა ამ საკითხში). ღია მხარდაჭერით კრემლი შიდა დაპირისპირების ესკალაციას ცდილობს და აღწევს კიდევ, ხოლო ასეთი დაპირისპირების არსებობა მისთვის მანევრირების სივრცის გაფართოებას და უფრო რთული ამოცანის შესრულებას ისახავს მიზნად, ვიდრე ეს აფხაზების ქართველებზე წასისინების პოლიტიკა იყო, - ეს უკანასკნელი უკვე განვლილი ეტაპია. აფხაზეთის შიდა სტაბილობა კრემლის ინტერესი აღარ არის. ყოველ შემთხვევაში, მისი მოქმედება არანაირად არ ადასტურებს ასეთი მიდრეკილების არსებობას. კრემლს რომ აფხაზეთში სტაბილობა და სიმშვიდე სურდეს, ის შერიგების მოსურნე ფარისევლის როლში კი არ მოგვევლინებოდა, არამედ ერთადერთ და სწორ გადაწყვეტილებას მიიღებდა: არჩევნებში დამარცხებულ ხაჯინბას თამაშიდან გაიყვანდა:

ჯერ ერთი, ხაჯინბა არჩევნებში ნამდვილად დამარცხდა და თუ კრემლი მას მხარს აღარ დაუჭერს, მარტო თავისი პოლიტიკური კლანის რესურსებით ის ბევრს ვერაფერს გახდება. ამიტომ მისი თამაშიდან გაყვანა ნაკლებპრობლემურიც იქნება და სამართლიანიც; ამას გარდა, ხაჯინბა მკაცრად დისციპლინირებული საიდუმლო სამსახურის ადეპტადაც არის ცნობილი, კრემლში ათენ-აღამებს და სისასტიკით განთქმული სამსახურის ნებას თავს ასე იოლად ვერ დაადწევს. ასე რომ, მისი წაგებულ თამაშიდან გაყვანა კრემლისთვის დიდ თავსატეხს არ უნდა წარმოადგენდეს; მაგრამ აქამდე ეს არ მოხდა, რაც სწორედ კრემლის ორპირობის დასტურია.

თავის მხრივ, არც ბაღაფშია კრემლის მიმართ ურჩი და მრავალი მიზეზის გამო ვერ იქნება ასეთი. თუმცა ის მაინც ნაკლებად გამოდგება კრემლის ნებისმიერი სურვილის შემსრულებლად. აქ, ჯერ ერთი, იმას უნდა გაეწიოს ანგარიში, რომ ბაღაფში იმდენად პუტინის ძალოვანებისაგან დაკომპლექტებულ ადმინისტრაციასთან დაახლოებული პირი არ არის, რამდენადაც კრემლთან ტკბილ-მწარე ურთიერთობაში მყოფ ბიზნეს-ელიტის კაცი. და მეორეც, მას ზურგს აფხაზეთის ხალხის ნება უმაგრებს, რაც კრემლის გავლენის ბერკეტების მიუხედავად, შეიძლება სერიოზულ დაბრკოლებადაც იქცეს მოსკოვის ინტერესებისათვის.

მიუხედავად ამისა, ბაღაფში საკმარისად ღლიაღურია კრემლის მიმართ და რუსეთს რომ სტაბილობა სურდეს, მის გამარჯვებას ასე სადავოდ არ აქცევდა. მაგრამ კრემლი ფარისევლურად ცდილობს ძალაუფლება ორ ლიდერს შორის ისე გაანაწილოს, რომ დაძაბულობა შეინარჩუნოს, რაც თავის თავად წაახალისებს აფხაზეთის საზოგადოების გახლეჩას და მწვავე დაპირისპირებებს. ეს კი აფხაზების ეთნო-ნაციონალური ინტერესებისადმი აღკაპის ამოდების პოლიტიკაა. რა ზომამდე დაძაბავს კრემლი ვითარებას, ძნელი სათქმელია (გასათვალისწინებელია საერთაშორისო თანამეგობრობის შესაძლო რეაქციაც), მაგრამ მოვლენათა განვითარების 1991-1992 წლის ზამთრის თბილისური სცენარი სულაც არაა გამორიცხული. კრემლის პოლიტექნოლოგები გამობრძმედილები არიან ასეთი სცენარების შემუშავებაში და რეალიზებაში. თბილისში ეს მათ გაუვიდათ, რის შემდეგაც რუსეთის პოლიტიკურმა ადეპტებმა თორმეტი წელიწადი იმლიგინეს საქართველოში და ქვეყანა კატასტროფის პირას მიიყვანეს.

აფხაზეთში დაძაბულობის ესკალაციის მზაკვრული სცენარის ამოქმედებას ისიც უწყობს ხელს, რომ ბაღაფშის და ხაჯინბას დაპირისპირებაში რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვანი კოლიზიაც აისახა: როგორც ცნობილია, პუტინის მიერ რეცენტრალიზირებულმა ხელისუფლებამ ოლიგარქიულ ბიზნესს შეუტია. ურჩებს აპატიმრებენ, სპობენ და დევნიან, ხოლო უფრო ღლიაღურ ნაწილს იბირებენ და კანონის გვერდის ავლით ბეგრავენ.

ექსპერტები პრეზიდენტის გარშემო შექმნილ შავ საღაროზე ლაპარაკობენ, რომელიც სხვადასხვა კამპანიებს - არა მარტო საარჩევნოს - აფინანსებს. ამ თანამშრომლობის მიუხედავად, პოლიტიკურ ხელისუფლებასა და მასთან გარიგებულ ოლიგარქებს შორის მაინც გვარიანი დაძაბულობაა. ბაღაფშის და ხაჯინბას დაპირისპირება საერთო რუსული სივრცის შიგნით მიმდინარე პოლიტიკური ბრძოლის გამოძახილიცაა (აფხაზეთი დე-ფაქტო ამ სივრცის წევრია).

აფხაზეთს კრემლი თავისი ექსკლუზიური გავლენის სფეროდ მიიჩნევს და ის, ძირითადად, არის კიდევ ასეთი. აფხაზეთის დე-ფაქტო რესპუბლიკა დე-ფაქტოდ დამოუკიდებელი საქართველოსგანაა და არა რუსეთისაგან. საერთაშორისო სამართალში არსებობს აღიარების შუალედური ფორმა, *დე-ფაქტო*, და *არა დე-იურე*, *ცნობა*, რის დემონსტრაციასაც კრემლი კარგა ხანია აღარ ერიდება. ოღონდ ის აფხაზეთის საქართველოსაგან დამოუკიდებლობას აღიარებს ფაქტად, და არა რუსეთისგან დამოუკიდებლობას; პირიქით, კრემლი განაგებს აფხაზეთს. ის საქართველოს ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად იღებს ღია თუ ფარულ გადაწყვეტილებებს, რომელიც აფხაზეთის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებას შეეხება და რომლის ძირითადი ვექტორი რუსეთის ფედერაციაში აფხაზეთის შემდგომი ინტეგრაციაა.

კონკრეტულად რის მიღწევას ესწრაფის ამ ეტაპზე რუსეთი აფხაზეთში?

კრემლი გამარჯვებულ ბაღაფშს ხაჯინბას ფიგურით აშანტაუებს. *მას აფხაზეთის პოლიტიკური სტრუქტურის ისე მოწყობა სურს, რომ რაც შეიძლება მეტ საკვანძო თანამდებობაზე დანიშნოს საკუთარი ადვოკატი*, ანუ დე-ფაქტო პრეზიდენტის ხელქვეითები საჭიროების შემთხვევაში არა აფხაზეთის, არამედ რუსეთის პრეზიდენტის და მისი კანცელარიის მითითებებით იმართოს, როგორც ეს კრემლმა კიტოვანის, ნადიბაიძის, კვირაიას, გოგუაძის, გიორგაძის და სხვა მისთანების შემთხვევაში მოიმოქმედა. ადგილებზე ხელისუფლების გავლენიანი წარმომადგენლების უშუალოდ მოსკოვის დაქვემდებარებაში ყოლა ის ნაცადი საბჭოური პრაქტიკაა, რომელსაც კრემლი თავს არ ანებებს. პუტინის ახალი, ბესლანის შემდგომი პოლიტიკური სტრატეგიაც ხომ შიდა სახელმწიფო მოწყობის რეცენტრალიზაციას გულისხმობს. კრემლი დანიშნავს გუბერნატორებს, კონტროლიორად მიაგლენს უშიშროების თანამშრომლებს და ა.შ.

კარგი იქნება, თუ კრემლი ვითარებას უკიდურეს წერტილამდე არ დაძაბავს და სამხედრო ორომტრიალის სცენარის ამოქმედებას აფხაზეთში გადამეტებულ რისკად ჩათვლის, თუნდაც ჩრდილო კავკასიაში მიმდინარე პროცესების გამო. მაგრამ მედალს ორი მხარე აქვს. თუ კავკასიაში დაძაბულობის ესკალაცია კრემლს მაინც გარდუვალი ჰგონია, მაშინ ის მთელი ამ ქარცეცხლის აფხაზეთისკენ მიმართვას შეეცდება. აფხაზეთში დღეს მიმდინარე მოვლენები ერთგვარი წინასწარი ზომებია ამ მიმართულებით. ასეთ შემთხვევაში აფხაზეთის მოსახლეობა სერიოზულად დაზარალდება და იმის ალბათობაც საკმაოდ მაღალია, რომ საქართველოს ხელისუფლებაც აღმოჩნდეს შესაძლო განუკითხაობაში ჩათრეული. კრემლი ალბათ იმედოვნებს, რომ საქართველოს ერთხელაც მიტყეპავს, შიდა აფხაზეთურ დაპირისპირებაში კი მედიატორის როლს არავის დაუთმობს. ბათქა-ბუთქის შემთხვევაში რუსეთის დაუხმარებლად გადაწყვეტ გამარჯვებას ვერც ერთი მებრძოლი მხარე ვერ მიაღწევს, ხოლო ამ დახმარებას კრემლი ძალიან ძვირად დაუფასებს გამარჯვებულს. მას აფხაზეთში სასტიკი ორომტრიალის მერე გამარჯვებული, მაგრამ მისიკვდილებული ბაღაფში, ან ხაჯინბა (თუნდაც ვინმე სხვა, სულ ერთია) სჭირდება.

ყველაფრის მიუხედავად, კრემლი შესაძლოა ვითარების უკიდურეს ესკალაციას მაინც მოერიდოს. ხანძრის გამოწვევა უფრო ადვილია, ვიდრე მისი ჩაქრობა. ზომიერი სცენარის გათამაშება, ანუ დაძაბულობის სამხედრო

მოქმედების გარეშე ესკალაცია, კრემლის მხრიდან უფრო გონივრული და მოზომილი ნაბიჯი იქნებოდა. მას შეუძლია იმ დივიდენდებითაც დაკმაყოფილდეს, რასაც ეს ზომიერი სცენარი მოუტანს. კრემლი საკმარისად ღონიერია აფხაზეთში თავისი საკადრო თუ სხვა ინტერესების უსისხლო რეალიზაციისათვის და იქნებ ყბადაღებული რუსული იდიომა: „სილა ესტ, უმანე ნალო“ ამ შემთხვევაში ძირითად სახელმძღვანელო პრინციპად არც აქციოს.

თვითდამშვიდებას კი მაინც ვერ მივეცემით. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკვე ოფიციალურად განაცხადა აფხაზეთში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების შესახებ. როგორ ეხამება ეს იმავე აფხაზეთის დამოუკიდებლობის დე-იურედ არ აღიარებას, ძნელი სათქმელია; კრემლი ბოროტად აიფოფრა. თუ გავიხსენებთ, როგორი თავზეხელაღებული გაბედულებით მოქმედებდა რუსული სახელმწიფო მანქანა ბესლანის ამასწინდელ ტრაგედიაში, უნდა ვიფიქროთ, რომ აფხაზეთის მიმართ ექსტრემალური სცენარის აღბათობა მართლაც დიდია. რომელი ჭკუათმყოფელი იქნებოდა დარწმუნებული, რომ ლამის მთელი ქალაქის სასკოლო ასაკის ბავშვების ასე უდმერთოდ ამოჟღერის პასუხად რეგიონის მოსახლეობის უკმაყოფილება ხელისუფლების წინააღმდეგ არ იფეთქებდა; მაგრამ ამ რისკმა პუტინი ვერ შეაჩერა. ელცინი ანალოგიურ შემთხვევაში (ბუდიონოვსკის ინცინდენტი) უფრო წინდახედულად მოიქცა, პუტინი კი უპირატესობას გადამჭრელ და სარისკო ქმედებებს ანიჭებს...